სახალხო გაზეთი

№ 1180 სამშაბათი, 6 მაისი 1914 წ. № 1180

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 8.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № უღირს 5 კ., დამატებისა—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის „სახალხო გაზეთზე"

(სურათებიანი დამატებით)

წლიურ ხელის მომწერთ პრემიად მიეცემათ: 1) ქართველი მწერლები, 2) უცხოეთის მწერლები, 3) სამეცნიერო კრებული.

წლიური ფასი **8 მან. 50 კაპ.**

მისამართის გამოსაცვლელი 40 კ., პრემიების გასაგზავნი 60 კ.

ნაწილ-ნაწილ ფულის გადახდა შეიძლება შემდეგ ვადებზე: პირველ აპრილამდე 5 მან., პირველ თიბათვემდე 2 მან. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. ენკენისთვემდე.

მისამართი: **Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" П. Ящ. 190**

ნინო გძელიშვილისა და ილიკო და კლიხტინა მუსხერიძეები გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავებს და ნაცნობებს უდროოდ გარდაცვალებას

ნიკო ილიას ძე გძელიშვილის

პირველი ქმრისა და მეორენი მამისა და სიმამრისას პანაშვიდი დღეს საღამოს 7 საათზე. გასვენება ოთხშაბათს 7 მაისს დილის 9½ ს., მოლინის ქ. სახლი ალამაზოვისა № 3. ანჩისხატის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 324

ნინო ალექსანდრეს ასული ალამაზოვისა იუწყება გარდაცვალებას თავის ძვირფასი

ნ ი კ ო ს ი ს

(მზარეულ ნიკოლოზ ილიას ძე გძელიშვილისას)

პანაშვიდი დანიშნულია დღეს, საღამოს 7 საათზე (მოლინის ქუჩა № 3). მიცვალებულის გამოსვენება ოთხშაბათს, 7 მაისს, 9½ საათზე ალამაზოვის ბინიდან (მოლინის ქ. 3) ანჩისხატის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 321

5, 6, 7 მაისს 1914 წ. მუშტაიდის ბაღში

სახ. სახალ. არს. ქართ. წრის სასარგებლოდ გაიმართება

დიდი საინტერესო სეირნობა

მრავალი გასართობი:

კოშკი, კეგელბანი, პტიშკო, ჩინური ბილიარდი, საიდუმლო ტიკინი, კონფეტი, ფოსტა, ყვავილები და უფასო სინემატოგრაფი. ბაღში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი **ბაღში შესვლა უფასოა.** დასაწყისი საღამოს 5 ს.

1156 სეირნობის გამგე **კნ. ან. მაჩაბელი.**

---

6 მაისს 1914 წელს

სახალხო სეირნობა

ქართველ ქალთა ამხანაგობის **სამკერვალო სკოლის** სასარგებლოდ. მიხეილის ქუჩა ბაღი კარაპეტიანცისა 65.

ბაღი იქნება მორთული და განათებული საუცხოვოდ, გასართობები ბავშვებისთვის და დიდებისთვის. დაუკრავს სამხედრო მუსიკა და დუდუკი.

დასაწყისი 4 საათზე. 315

შესასვლელი ფასი 25 კაპ. მოსწავლენი 15, ბავშვები 10.

დიდი ცირკი ფ. ა. სუპატოვისა

მიხეილის პროსპექტზე, მუშტაიდთან.

დღეს, 6 მაისს, გაიმართება



ბრილიანტ. სამასხრო წარმოდგენა

პირველი გამოსვლა ეგვიპტელი ალისა. ცირკის დირექტორმა იუპატოვმა არ დაიშურა დიდი ხარჯი და შრომა, რათა ტფილისის პატივცემულ საზოგადოებისათვის ეჩვენებინა უნახავი სანახაობა. ხუთის გასტროლზე მოიწვია მსოფლიოდ ცნობილ იდუმალებით მოცული ეგვიპტელი ალი, საკვირველი ბუნებისა! კაცი-აკვარიუმი მეოცე საუკუნის ამოცანა! მსოფლიო სენსაცია! ალიმ მთელი ქვეყნის მედიცინის მეცნიერები! გულისყური მიიპყრო და მისი უცნაური კუჭის გამოსაკვლევად დააფიქრა. რუსეთში პირველია და საზღვარ-გარეთ არაჩვეულებრივი! ალი ჰსვამს 50 ბოთლ წყალს და უკანვე ამოისვრის, ალი დალევს ნავთს და ცეცხლის შადრევანად ამოუშვებს. ალი ჩაჰყლაპავს თევზებს, ბაყაყებსა და ჯოჯოებს და ისევ ცოცხლებს ამოჰყრის. ალი ჩაჰყლაპავს სამ ცხვირსახოცს სხვა და სხვა ფერისას საზოგადოებას სურვილისამებრ რომელსაც დაუსახელებენ, იმას ამოიღებს. ალი ყველა სატახტო ქალაქებში შეამოწმეს პროფესორებმა, რის მოწმობებიცა აქვს. სულ კუჭის ძარღვებს მიეწერება. არავითარი თვალთმაქცობა და მოტყუება არ არის. ალის კუჭი 59 სანტიმეტრია.

დაწვრილებით ბროშურებსა და აფიშებში.

ცირკის დირექტორი **ფ. ა. იუპატოვი.** გამგე **ლ. მ. ხუნდაძე.**

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. 320

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

სანატორიუმი

„რუსული დავოსი",

აბასთუმანში.

ბრონხიტებისა, სისხლ-ნაკლებთა, დაქანცულთა და ფილტვების სნეულებით ახლად დაავადებულთათვის. საუცხოვო განმარტოვებული მზიანი, უქარო ადგილი ფიჭვნარიან ტყეში. სანატორიუმთან მოწყობილია საკუთარი რენტგენის კაბინეტი. ყველა თანამედროვე ფიზიკური წამლობა, ჰიგიენა-დიეტაზე დამყარებული, სპეციფიური წამლობა ტუბერკულინით, ხელოვნური პნევმოტორაქსი და ტყირპის წამლობა რენტგენის სხივებით. საკუთარი მეძროხეობის ფერმა. სრულის პანსიონით სამკურნალო ხარჯ-მთვლით და სხვა თვეში 150—250 მ. ◆ დაწვრილებითი ცნობებისათვის მიჰმართეთ **სანატორიუმის დირექტორს ექიმს გ. მიზრაბიანცს, 4 მაისამდე** ქ. ტფილისში, ზუბალოვის ქ. № 23. 1 მაისის შემდეგ—აბასთუმანში. ზღვისპირიდან 1273 მეტ. ტფ. გუბ.

ტელეფონი № 7—22. 1087

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუჭნერი მ. გ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

მინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვაა სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606", „914".** 1088

ვაგზლის სამკურნალოში

(**მიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695**)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 12—1 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 12—1 ს.

მაზაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

რჩევის საფასური—50 კაპ.

წამლობა „914" და „606". 1023

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქვენიგის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვოტცელის სასტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილებით.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი გ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი ზ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, 11—12. **კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ზ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მერზბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე 11—2. **კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ნერვიულ სნეულებ., და ფსიქ.	**ჯამბახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 1[illegible] **ფონდოვი ზ. ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1070

ახალი კლუბი

(საზამთრო თეატრი)

ოთხშაბათს, 7 მაისს 1914 წ. გაიმართება 60 არტისტისაგან შემდგარი დიდი სიმფონიური ორკესტრის

კონცერტი.

ევა ბრიუნელის ლოტბარობით. 1196

აუქციონი

ტფილისის ქალაქის ლომბარდი საყოველთაოდ იუწყება, რომ კვირას 11 მაისს, დილის 10 საათზე, **ლომბარდის** დარბაზში

საჯაროდ გაიყიდება

ვადა გასული დაგირავებული ნივთები ძვირფასი ლითონისა, ქვებისა და აგრეთვე ლითონისა. 322.

დაიბეჭდა და იყიდება

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების გამოცემა

ი. გრიშაშვილი

წიგნში მოთავსებულია დღემდე დაწერილ-დაბეჭდილი ყველა ლექსი: ფასი ერთი მანეთი

ტფილისში წიგნი იყიდება—ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, (სასახლის ქუჩა) და ი. კიკნაძის-სავაჭროში (სახაზინო თეატრის პირდაპირ). ქუთაისში კ.—კ. ოცხელის და თ. მთვარიშვილის წიგნის მაღაზიებში. მსურველთ შეუძლიათ ხსენებულ მაღაზიებიდან პროვინციებშიაც გაიწერონ წიგნი ფას-დადებით. საწყობი გრ. რცხილაძესთან, (ტფილისი, ოლღას შესახვ. № 5.) 1141

უფლებიანი

სავაჭრო სკოლა, საბუღალტრო კურსები

და სასწავლებელი გიმნაზ. და სხვ. მოსამზადებლად

ივანე ზაქარიას ძე ტერ-სტეპანოვისა.

მისაღები გამოცდა დანიშნულია 31 მაისს, მეცადინეობა 2 ივნისიდან. იყიდება სახელმძღვანელო მიწერ-მოწერა და ბუღალტერიის შესასწავლად. **მიხეილის ქუჩა, № 36.** 314

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება: დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ახვლედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

ბელენკი. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

ბოგუცკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

გნუჩევი—ქირურგ. ავადმყ. ყოველ-დღე 11—12 ს.

შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

აბაშიძე—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ჩუდნოვსკი—ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

თუთარაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ექ. ქალ. [illegible]. ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

[illegible]—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

[illegible]—თვალ. ექ. სამშ., ხუთშ., შაბ. და კვ., 4—5 ს.

ბაგდასაროვი—კბილ. იღებს ყ.-დღე დილის 10—11 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაციი, ოპერაციი, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wassermann"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1182

ექიმ ლ. ლ. [illegible]

სამკურნალო

ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ამჩნიანებისა და ლოთებისათვის,

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1064

ექიმი გ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფ. დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

საბურთალოზე

მშვენიერ ადგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომ ფასებში.

მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შეიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1078

ექიმთა საზოგადოების

სამკურნალო

მუდმივ საწოლებით.

(მიხეილის შესახვევი № 49 და რეუტოვის ქუჩის შესახვევი № 2.

ტელეფ. № 1026.

ავადმყოფების მიღება:

აბაჯანოვი მიხეილ—საშარდე, სიფილის. და კანის სნეულ. 11—12 ს.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგ., ნერვ. და სულის სნეულ., ელექტროთერაპია, 11—12 ს.-დე.

ელჩიევი მ. რ.—ყურ., ცხვირ. და ყელისა, 12—1 ს.

ელჩიევი ლ. რ.—ქალის სნეულ. და ბებიობა. 12—1 ს.

კიმონტი მ. პ.—სადოსტაქრო სნეულებანი 11—12 ს.

მაზაკიანი მ. ნ.—შინაგანი და ბავშვებ., სნეულ., სპეციალურად კუჭისა და ნაწლავ., 1-ნახ.—12-ნახევარ ს.

სამკურნალოში ჰწამლობენ ელექტრონით, მასაჟი, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა, ძიძების გასინჯვა. რჩევის ფასი 1 მან., ოპერაცია, კონსულტაცია, მორიგებით. სტაციონალური (საავადმყოფო) განყოფილება საერთო პალატისაგან შესდგება.

შეშხაპუნება „914", „606". 1040

ვასწავლი

ქართულ

„სიმღერა-გალობას"

და ვამზადებ მომღერლებს დიდ გუნდისთვის, სამშ., პარასკ. 5—7, მუშებისათვის კვირაობით 3—5 ს., ავჭალ. ქუჩა, № 29. მიღება და ჩაწერა მიხ. კავსაძესთან. 1180

ახალი კლუბი

დღეს, 6 მაისს,

საოჯახო საღამო

დაარსებული ახალ კლუბთან დრამატიულ-მოყვარულთა ჯგუფი წარმოადგენს: 1) **ეროს და პსიხეა**, ჟულავსკისა (მეორე აქტი), „შეღამება ღმერთებისა" (Сумеркъ боговъ). 2) **საშიში სამიკიტნო** მინიატურა ერთ მოქმედებაში ტეფისა. ამ პიესაში ასრულ. იქნება შემდეგი ცეკვა: „Hobomoco", „Danse des apaches" (აპაშების ცეკვა). მონაწილეობ. მიიღებენ: ქნ. ნ. პ. ბარათოვისა, ქნ. ნ. დ. ბარათოვისა, ქნ. თ. დ. ჯორჯაძისა, ქნ. მ. თ. ჩოლოყაშვილისა, ე. მ. იურიევისა, ქალ. *** და ტადი. ბ-ნნი: ს. ა. ავარსკი, ნ. ი. ბელევსკი, თ-დ ნ. გ. ბეგთაბეგოვი, ვ. ა. ვოლდორი, ს. მ. ვოსკრესენსკი, ნ. გ. კატერინიჩ, მ. ფ. კარი, ნ. პ. პეტროვიჩი, ნ. ი. საბინინი. **დასაწყ. საღ. 9 ს.** ადგილ. ფასი პარტერ. 20—80 კ., ლოჟები ბენუარისა 2 მ., ბელეტაჟი 1 მ., ქანდარა ყველასათვის ხელმისაწვდომია 10—30 კაპ., სტუმ. იხდიან კლუბში შესასვ. კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტუ. 25 კ. 1155

ძ. გორში
(დოქტორანტი).

ექიმი მ. დ. წინამძღვრიშვილი

ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. **შინაგანი** და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი **გულისა, ფილტ.** და **სისხლის** სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გზის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ- 1050

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ. **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^{1}/_{2}$ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლოს, სფოსტო განყოფ. პირდაპირ.

ბერლინის უნივერსიტეტის
მედიცინის დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 ს.-დე. კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. **ღარიბების** წამლობა დილ. 9—10 ს.-დე. **უფასოდ.** ბებუთოვის ქ., 23. **ტელეფ. № 7—92.** 1516

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 1011

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16

ექიმი ნიკოლოზ სვიმონის ძე ხეჩინოვი

(ნოვოროსიის საიმპერატორო უნივერსიტეტის კლინიკის ორდინატორი— დედათა და მშობიარეთა სნეულებისა) დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება მამა მისის ბინაზე, აფთიაქის ქუჩაზე. 1177

ქალი

ექიმი ნინო რცხილაძე.

გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.
იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ქართული პრესა

გაზეთი **„აზრი"** ამბობს კვირის მუთაურში:

„კავკასიელ 60 ათასი მუშის სამაისო გაფიცვა აშკარად მოწმობს, რომ დემოკრატიამ თავისი ძალები უკვე მოიკრიბა და ომის ველზე ძველებურად გამოჩნდა თავისუფლების მოსაპოვებლად და რეაქციონერთა ამოსაგდებად".

ფრიად სასიამოვნო მოვლენაა და ჩვენ, რასაკვირველია, სრულის სიხარულით ვეგებებით მას.

მაგრამ გვიკვირს, როცა დასელთა ორგანოს საჭიროდ მიაჩნია ასეთი მოვლენის ცნობას უთუოდ დაურთოს ჩვენი ლანძღვა-გინება და იმის მტკიცება, რომ მუშათა დარაზმვა და მათი მოძრაობის გაძლიერება მავნებლად მიგვაჩნდეს და მას ვებრძოდეთ კიდეც.

ვურჩევთ ბ. ბ. დასელებს, ბრმად ნუ მისდევენ უგვანო დემოგოგიას, თორემ სადმე გადაიჩეხებიან. დემოგოგია ორპირი მახვილია.

⁂

გაზეთი **„აზრი"** დემაგოგობს არა მარტო თავის თანამოაზრეების წინაშე. იგი ცდილობს ამნაირის საშუალებითვე ბურჟუაზიული წრეების ყურადღებაც დაიმსახუროს და შემდეგის რჩევით მიმართავს „იმერეთის" რედაქციას:

„თუ გრ. ლაღიძეებს და ექიმ ტყეშელაშვილებს უფლება აქვთ პ. გელეიშვილის ლექცია ჩაშალონ, ვინ დაუშლის იმავე ვაჟბატონებს, როცა ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მოწყობას შეუდგებით, ზალაში შემოიჭრან ბურჟუაზიის შესამუსრავათ"?

⁂

თან და თან ეტყობა, მასწავლებელთა კავშირის დაარსების მომწიფება. ჩვენს გაზეთში ამის შესახებ რამდენიმე წერილი დაისტამბა. კავშირის საჭიროებას ეხება გრ. საქარიქადელი **„თემში"** და ამბობს:

„დღეს ნოქრებიდან დაწყებული ქალაქის ქარხნის მუშებამდის ყველამ შეიგნო კავშირების ძალა, ყველა დარგის მუშები აარსებენ პროფესიონალურ კავშირებს: მასწავლებლებს კი დღემდის ვერ მოგვიხერხებია კავშირის დარსება, უკედ რომ ვსთქვათ, ვერ შეგვიგნია კავშირების მნიშვნელობა. ჩვენში რომ კავშირი არსებობდეს, მაშინ ძლიერი იქნებოდა საერთო ხმა მასწავლებლისა, მაშინ თითოოროლა მასწავლებელი თავის ქუაზე ვეღარ იმოქმედებდა უფროსების გულის მოსაგებად, სკოლის მომავალი თაობის დასამახინჯებლად; მაშინ მასწავლებელი პასუხისმგებელი იქნებოდა მასწავლებელთა კავშირის, ბიუროს წინაშე თავისი არა შესაფერ საქციელის ჩადენის გამო.

მკვიდრ ნიადაგზე დამყარებული კავშირები ხელს შეუწყობს მასწავლებლის განვითარებას, სულიერ აღორძინებას, ერთი სიტყვით, მათ დიადი მნიშვნელობა ექნება სკოლის ცხოვრებაში. მაშ გვეყოფა ძილი, გამოვფხიზლდეთ, შევერთდეთ, შევკავშირდეთ სკოლისა და მომავალი თაობის საკეთილდღეოდ, თორემ ცხოვრებამ წინ გაგვასწრო, მომავალი თაობა სამარცხვინო სკამზე დაგვსვამს...

⁂

„თეატრი და ცხოვრება" ერთხელ კიდევ მიაქცევს ყურადღებას ქართული თეატრის გადემოკრატების საჭიროებას:

„ფაქტია, რომ დღეს თუ ესწრება ქართულ წარმოდგენებს ვინმე, ეს საზოგადოების დემოკრატიული ნაწილია—მუშები, მოწაფეები, ნოქრები და წვრილი ინტელიგენცია. დრამატიული საზოგადოებანი საზოგადოების ამ ნაწილს შესაფერ ანგარიშს არ უწევდნენ და არც ახლა უწევენ. წარმოდგენებზე დასწრების ფასი, რეპერტუარი თუ სხვა რამე, ყოველივე ეს გადაგვარებულ ჩინიან-ინტელიგენტების შესაფერია. პიესები მოწაფეთა და მუშათა ცხოვრებიდან თითოზე ჩამოითვლება, მიუხედავად იმისა, რომ თეატრში უმთავრესად ესენი დადიან ფასებიც ისეთია, რომ საზოგადოების დემოკრატიულ ნაწილს უჭირს თეატრში შესვლა და რომ ეს ასეა, ამას სახალხო იაფ-ფასიან წარმოდგენების ისტორიაც მოწმობს: იაფ-ფასიან წარმოდგენების დროს თეატრი თითქმის ყოველთვის სავსეა.

იმის თქმა, რომ სულ მუშათა და ნოქართა ცხოვრებიდან დაწერილი პიესები იდგმებოდეს, არ მინდა. არც იმას ვიტყვი, თეატრმა მხოლოდ საზოგადოების დემოკრატიულ ნაწილს გაუწიოს ანგარიში. სასურველად მხოლოდ ის მიმაჩნია, რომ დემოკრატიას მეტი და შესაფერისი ანგარიში გაეწიოს.

წარმოდგენებზე დასასწრები ფასების დაკლება ბევრი მხრით სასარგებლოა. ფასების დაკლებით არც დრ. საზ. კასა წააგებს რასმეს და თეატრიც თავის დანიშნულებას პირნათლად შეასრულებს. დღეს წარმოდგენები სანახევროდ ცარიელ დარბაზში ხდება და გაიაფების შემდეგ სავსე დარბაზი იმდენ შემოსავალს მაინც მისცემს, რამდენიც დღეს არის. ამის შესახებ აუცილებლად საჭიროა ყრილობამ იმსჯელოს. ამასთანავე ყრილობამ უნდა იმსჯელოს შესაფერ რეპერტუარის შემუშავებაზედაც".

⁂

სიღნაღის არჩევნების გამო გაზეთი **„თემი"** სწერს:

„ჩვენის აზრით ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც არ უნდა იყოს მოსაწონი არც ერთის ჭეშმარიტ დემოკრატისათვის, რომელ ერსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, ქართველსა თუ სომეხსა, ინგლისელსა თუ იტალიელსა, პაპუასსა თუ ჰოტენტოტსა. ასეთი ქცევა შეძლებულ ელემენტისა მავნებელია ყველასათვის და ჭეშმარიტ დემოკრატიული პრესსაც ვალდებულია პირნათლად აღიაროს იგი, თუ სურს თავის სახე წმინდად შეინარჩუნოს. ასე ხელოვნურად მოწყობა საქმისა შეძლებულების ინტერესების დასაცავად მხოლოდ ძირს უთხრის დემოკრატიის გამარჯვებას და, მაშასადამე, პროგრესს ჰღალატობს".

ხარჯები

ვარშავის **„საზოგადოებრივი აზრის ბიურომ"** გამოაქვეყნა მეტად მდიდარი მასალა პოლონეთის ცხოვრების სხვა და სხვა დარგის შესახებ. მოგვყავს ზოგიერთი საყურადღებო ცნობა:

„პოლონეთის სამეფოს მცხოვრებთა რიცხვი 1911 წ. იყო $12^{1}/_{6}$ მილიონი, აქედან ქალაქის მცხოვრებნი შეადგენდნენ 32,2 პრ.

სარწმუნოებით მკვიდრნი ასე განიყოფებოდნენ: კათოლიკე იყო 75,4 პრ. მართლმადიდებელი 4 პრ. პროტესტანტი 5,3 პრ. ებრაელი 14,6 პრ.

სახალხო მეურნეობის უმთავრეს დარგს შეადგენს მიწათმოქმედება. სჭარბობს წვრილი მეურნეობა. ხორბლის მოსავალი მოდის სულზე 16,5 ფუთი. მრეწველობაში პირველი ადგილი უკავია ნაქსოვების წარმოებას (341 მილ. მ.) საჭმელ მასალას (155 მილ. მ.), მეტალურგიას (110 მილ. მ.) და სხ.

სახელმწიფო შემოსავალი პოლონეთის სამეფოში იყო 1905 წ. 122 მილ. მან., 1911 წ.—228 მილ. ე. ი. იმატა 86 პრ. მაშინ როდესაც იმპერიაში ამავე ხნის განმავლობაში შემოსავალმა იმატა 45 პრ. ჩვეულებრივი ხარჯები 1905 წ. იყო 106 მილ., 1911 წ.—124 მილ., ე. ი. იმატა 17 პრ. მაშინ როდესაც იმატა 33 პრ.

არა პირდაპირი გადასახადი თითო სულზე მოდის პოლონეთში 2,32 მან., ხოლოდ რუსეთში 1,27 მან. პირდაპირი გადასახადი პოლონეთში—10,5 მან. და რუსეთში 4,8 მან. ამავე დროს ხარჯება თითო სულზე პოლონეთში 2,46 მან. რუსეთში—4,11 მან.

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშ. პეტერ. სააგენტო)

3 მაისის კრება.

როძიანკო თავმჯდომარეობს.

ფირსოვი პირველი ფინანსთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის მომხსენებელი დაასკვნის, რომ უკიდურეს მემარჯვენეთა გარდა, მთელი სათათბირო უარყოფით შეხვდა ფინანსთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვას.

ჩელნოკოვი ორ საათს ლაპარაკობს და აღნიშნავს თანამედროვე ქალაქის მეურნეობას, სამინისტროსა და ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენელთა დამოკიდებულებას ქალაქის თვითმმართველობებთან. სამას ქალაქის არჩევნებიდან 75 შემთხვევაში 35 არ დაუმტკიცებიათ. მე, როგორც წარმომადგენელი მოსკოვისა, პროტესტს ვაცხადებ მინისტრის მიერ ადგილობრივ თვითმმართველობათა აბუჩად აგდების წინააღმდეგ. ასეთი საქციელი სამართლიანად უნდა დავფასოთ და აღვნიშნოთ, რომ ასეთი საქციელს სერიოზული საფრთხე მოსდევს (მემარჯვენეთა ხმაურობაში მოლაპარაკის ხმა აღარ ისმის) ხმები მარჯვნივ: გაეთრიე! გამორიცხეთ! მარცხნივ ხმები: გთხოვთ! გთხოვთ განაგრძოთ! თავმჯდომარემ ჩელნოკოვს სიტყვა შეაჩერებინა.

მარკოვი მეორე. მინისტრის წინააღმდეგ გალაშქრებაში ცენტრალური პარტიები რევოლიუციონურ პარტიებს კუდში მისდევენ. იმ ბრალდების გამო, ვითომც მინისტრი მხარს უჭერს იმ მემარცხენე პარტიებს, რომელთაც ვითომც სახელმწიფოს გადაბრუნება ჰსურდეთ საჭირო, ვიტყვი, რომ მათ ამისთანა [illegible] ჰსურთ, არც კონსტიტუციის წინააღმდეგია მინისტრი როგორც მემარცხენენი ფიქრობენ. მემარჯვენე გაზეთები მთავრობისაგან არავითარ დახმარებას არა ღებულობენ, მემარცხენე გაზეთები კი დიდს დახმარებას ღებულობენ ებრაელებისაგან, იაპონიისაგან, ფინლანდიისაგან და ავსტრიისაგან. ხალხი სრულებით კმაყოფილია და დამშვიდებული, მოუსვენრობენ მხოლოდ რევოლიუციონერთა ბრბოები და ებრაელი გაზეთები.

ხარჯთ-აღრიცხვის 1 მუხლი საბიუჯეტო კომისიის რედაქციით მიიღეს.

წინადადება შეაქვთ, [illegible] არ შეწყვიტონ, სანამ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა არ დასრულდება.

ხარჯთ აღრიცხვის მესამე მუხლი,—„ბინების დაქირავება და შენახვა". შიდლოვსკი 1-მა და ანტონოვმა შესწორება შეიტანეს, რომ თანხა შეამცირონ 269,892 მან. კენჭის ყრით წინადადება მიიღეს 156 ხმით 143 წინააღმდეგ, მეათე მუხლის შესახებ: „ადმინისტრაციის სხვა და სხვა ხარჯი", მინისტრის ამხანაგი წინააღმდეგია ხარჯის შემცირებისა ათასით. მიუხედავად ამისა უმრავლესობამ 153 ხმით 128 წინააღმდეგ დაადგინა ხარჯი შეამციროს. წინადადება კრების გადადების შესახებ უარჰყვეს.

წინადადება შეიტანეს, რომ მე-17 მუხლის შესახებ მიწათ-მოწყობისათვის საჭირო თანხების გადადება, სახელობითი კენჭის ყრით გადასწყდეს. ეს წინადადება მიიღეს.

მეათე და მეთერთმეტე მუხლების ხარჯებიც შეამცირეს 126 ათასი მანეთით მეთორმეტედან მეჩვიდმეტე მუხლებამდე კრედიტები უკამათოდ მიიღეს საბიუჯეტო კომისიის რედაქციით. მეჩვიდმეტე მუხლის შესახებ შიდლოვსკისა და ანტონოვს შესწორება შეაქვთ, რომ თანხა 402,200 მანეთით იქმნას შემცირებული. სათათბირომ სახელობითი კენჭის ყრით შესწორება უარჰყო 159 ხმით 153 წინააღმდეგ, და ეს მუხლი საბიუჯეტო კომისიის რედაქციით მიიღო.

მეთვრამეტე მუხლი—„მიწად მოწყობისათვის დახმარება". წინადადება შიდლოვსკისა და ანტონოვის, რომ ეს თანხაც 50,000 მან. იქმნას შემცირებული 116 ხმით 93 წინააღმდეგ უარყოფილია. დანარჩენი მუხლები უკამათოთ მიიღეს. მხოლოდ მუხლში „საეკლესიო სამმართველოთა ადგილობრივი ორგანიზაციების შენახვა" მიიღეს ტევკელევის შესწორება, რომ იმპერიის მაჰმადიანი ცხოვრების გასაუმჯობესებელი რეფორმები განხორციელებულ იქმნას.

გამოაქვეყნეს შემდეგი ფორმულა ოქტომბრისტებისა და ცენტრისა: ყურადღებაში ვიღებთ რა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო არამც თუ განაგრძობს საზოგადოებრივი აზრის სისტემატიურად აბუჩად აგდებს, არამედ, ყურადღებას არ აქცევს აგრეთვე საკანონმდებლო დაწესებულების—სათათბიროს მნიშვნელოვან სურვილებს, სათათბირო იზიარებს საბიუჯეტო კომისიის მიერ გამოთქმულ სურვილებს და უსარგებლოდ სთვლის სხვა რაიმე ახალი სურვილის გამოთქმას. აგრეთვე ჰფიქრობს, რომ: 1) სამინისტროს პოლიტიკა, რომელიც ავიწროებს და ზღუდავს საერობო და სამოქალაქო დაწესებულებათა მოქმედებას, ძირს უთხრის ადგილობრივს ძალებს, რომელნიც ორმოცის წლის განმავლობაში მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის სულიერ და ეკონომიურს ზრდაში; 2) ყველგან აქეზებს ადმინისტრა-

---

ხიზანთა ბედი

(გაგრძელება*)

V

ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ ხიზნები დამტკიცებულნი არ იყვნენ თავის მფლობელობაში, ამიტომ მემამულენი მუდამ სცდილობდნენ მათ თავიდან მოშორებას.—„მიწა ჩვენია, მოგვშორდით თავიდან, აღარ გვინდიხართ ხიზნებათო", იძახდა თავად-აზნაურობა.

მთავრობას ამის შემდეგ აუარებელი თხოვნა მოსდიოდა, ერთი მხრივ თავად-აზნაურობიდან: „ხიზნების აყრაში დაგვეხმარეთო", და მეორე ხიზნებიდან: „მამა-პაპეულ მამულიდან გვყრიან, ზარალს არაფერს გვიზღავენ და სამუდამოთ გვღუპავენო".

1869 წელს ტფილისის გუბერნატორი უმაღლესს მთავრობას წინადადებას აძლევს: ხიზნების საქმე როგორმე მოვაწესრიგოთ, რადგან მემამულისა და ხიზანს შორის მუდმივი უთანხმოებააო.

გუბერნატორის თხოვნა 15 მაისს 1875 წ. მეორდება: ხიზნების საჩივრებმა იმატა, რომ მემამულე აყრას უპირებს, და რამე ვიღონოთო, მით უმეტესს, მემამულენი სასამართლოში ჩივიან და სასამართლოს დადგენილების ძალით ჰყრიან ხალხსაო.

იმავე წლის 27 ღვინობისთვეს გუბერნატორი იტყობინება, რაკი ჩემმა ზომებმა ვერ გასჭრა, კანონი გამოეცით დროებითი, ვინემ საბოლოოდ საქმე გადაწყდებოდეს ხიზნები არ აჰყარონ მამულიდან, თორემ მემამულე საკუთრების უფლებას ემყარება, ღალას უმატებს და თუ ხიზანი არა სთანხმდება, სამართლის წესით აყრას უპირებს და სასამართლოსაც მემამულის მხარე უჭირავსო.

1876 წელს თიბათვეში კავკასიის მმართველობის უფროსმა სენატორ კლუშინმა ბრძანება გამოსცა, ძანამ საბოლოოდ არ დაკანონდება ხიზნების საქმე, მემამულეს ნება არა აქვს ხიზნის აყრისაო, თან განკარგულება მოახდინა: ცნობები შეიკრიბოს რაც შეიძლება საჩქაროთ და მალე ხიზნების მდგომარეობის გამოსარკვევადაო. ისე კი თუ რაიმე უთანხმოება იყვეს მათ შორის, საგლეხო საკრებულომ გადასწყვიტოს და არა სასამართლომაო.

ამ ბრძანებამ ძალზე შეაშფოთა თავად-აზნაურობა: „ყველა ის, ვინც კი ცხადლივ, თუ მალვით ჰოხს ჩაჰდგავს ჩვენს მამულში, ხიზნობასა ჩემულობს და გვიმტკიცებს: ხიზნებისაგან მხოლოდ იმით ვირჩევი, რომ მერე დავსახლდიო".

ის ცნობები, რომელსაც სენატორი კლუშინი საჩქაროდ თხოულობდა, მართლა და „მალე" შეიკრიბა: 1884 წელს. სრული 8 წლის შემდეგ.

ტფილისის გუბერნატორმა საგლეხო საკრებულოში თათბირი გამართა მაისში 1884 წ. შეკრებილი ცნობების თანახმად ხიზნების მდგომარეობის გამოსარკვევად. ამ თათბირში მიწვეულ იყო 94 თავად-აზნაური რჩევის მისაცემად. ხიზნების მხრივ არავინ იყო მიწვეული და ამით საკითხი დაცალმხრივდა.

ბევრი სიტყვები დახარჯა თავად-აზნაურობამ, რათა დაემტკიცებინა: 1. ხიზანი ის არის, ვინც რუსეთის შეერთებამდის გახიზნდა, ან კიდევ უკიდურესს შემთხვევაში ბატონყმობის გადავარდნამდისო, 2. მიწა ჩვენი საკუთრებაა, ხიზანი უბრალო მოიჯარადარეა და როცა გვინდა, მაშინ ავყრითო

გამოირკვა, რომ ხიზანი დაახლოვებით იღის ქირნახულის მოსავლის $^{1}/_{4}$ ან $^{1}/_{2}$-ს. ღვინის მოსავლისა და თივისას—ნახევარს და კიდევ ბეგარას.

აზნ. დავით ყიფიანმა განაცხადა, რომ ხიზნების აყრა უსამართლობაა, არც ღალის გადიდებაა სამართლიანი. ხიზანს უნდა შეძლება მიეცეს საჭირო მიწა გამოისყიდოს მთავრობის დახმარებითაო.

სხვათა შორის, ამავე დავ. ყიფიანს ჟურნ. „საიურიდიო მიმოხილვის" 1884 წ. № 165-ში ყურად-საღები ცნობა მოჰყავს ხიზნის გადასახადის გამო:

— „ჩემ ხიზანს აქვს 10 დღიური—5 დესეტინა. თითო დესეტინაზე მაძლევს:

1) 6 კოდ პურს=24 ფუთი. 2) მუშას—8 კაცს.

კოდი პური ღირს—3 მ. მუშა კაცი დღეში—50 კაპ. მაშასადამე ერთი დესეტინიდან ვიღებ 18 მ.+4 მ.=22 მან. 5 დესეტინიდან=22×5=110 მ.

თავად-აზნაურობის უმრავლესობის აზრის მიღება ეგ იმას უდრიდა, რომ ელოთ და რამდენიმე ათასი კომლი ხიზანი მათხოვრობის გზაზე დაეყენებინათ. მთავრობამ ეს ვერ გაბედა: საშუალო გზის ძებნას შეუდგა.

1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით ტფილისის გუბერნიაში ხიზანი სულ 4973 კომლი ყოფილა. გორის მაზრაში 3,262 კომლი, **აქედან ოსი სულ არის 2,500 კომლამდის.**

დუშეთის მაზრაში 894 კომლია (ეხლა ცოტაა) **ოსი აქედან 500 კომლია.**

ქუთაისის გუბერნიაში იმავე სიების მიხედვით ხიზანი 2,623 კომლია. სულ ქართველები არიან. მთლად საქართველოში 7596 კომლია ხიზანი. 3,000 კომლი ოსი, დანარჩენი ქართველი. (იხ. სასტატისტიკო ცნობათა კრებული კავკასიისა. საოჯახო სიები 1886 წლ. გამოცემა 1893 წლისა, ტფილისი).

მანამ კავკასიის მთავრობა საშუალების ძებნაში იყო, თუ როგორ მოესპო ხიზნობა და მის მიერ გამოწვეული დავიდარაბა,—თავად-აზნაურობა შარს არ ულევს ხიზნებს და გაჭირვებას აყენებს.

მოთაინებიდან გამოსული ხიზანი სამართლის კარებს აკაკუნებს, მაგრამ პასუხს ხან წლობით ვერ ღებულობდა.

თუ საქმე სენატამდის წავიდოდა, რაც იშვიათი იყო, რადგან ხიზანს სადა აქვს შეძლება ან უნარი სენატამდის სიარულისა, უფრო ჰიანურდებოდა დავა და ხშირად მამულიდან აყრილს, ან და უკვე მკვდარ ხიზანს უდგენდა სამართალს.

სენატმა ორჯელ დაადგინა, რომ ხიზნის გადასახადი უცვლელია. 1. ხიზანთა დებულების გამოცემამდის ხიზნების გადასახადი მემამულეთა სასარგებლოდ ისეთივე რჩება, როგორც წინად იყო. (იხ. გადაწყვეტილება უმართებულ. სენატისა, 15 ნოემბერი, 1885 წ. № 5130, 9 თებერვალი და 5 აპრილი 1888 წლ. №№ 580 და 1682). 2. გადასახადი ხიზნებისა საგლეხო საკრებულოს გადაწყვეტილებით ვერ შეიცვლება, თუ ხიზანი და მემამულე ერთმანეთში ამის გამო არ შეთანხმდნენ. (სენატ. გადაწყვეტ. 20 იანვ. 1889 წ. № 195). 3. ძალდატანებითი გადახდევინება ხარჯებისა მემამულის სასარგებლოდ უნდა სამართლიანად ჩაითვალოს. (სენ. გადაწყვ. 23 ნოემბ. 1893 წ. № 11,912).

თუმცა უსამართლოდ მიაჩნდათ, მაინც გადასახადის უცვლელობას იწუნარებდა თავად-აზნაურობა, მაგრამ სამით კი დროს თუ იხელთებდა, ამას არ დაგიდევდა და გადასახადი ხიზნისა ხშირად იცვლებოდა მემამულის სასარგებლოდ. სჯობს ისევ ამბებს მივმართოთ:

1. ს. წაბლოვანში მემამულე დღიურზე 2 კოდსა და 2 ჩანახს ჰნიშნავს იმ პირობით, რომ დღიური დესეტინას უდრიდეს. ღალა ერთი-ორად გაზარდეს და დღიური ისევ ნახევარი დესეტინა დარჩა.

ჩანახი უდრიდა 25 გირვ. 1—კოდი=6 ფ. 10 გირვ. 2 კ. 2 ჩ. უდრის 13 ფ. 30 გირვ.

2. სოფ. [illegible] მემამულემ ხიზანს გადასახადის მომატება მოსთხოვა, რაკი უარი მიიღო, ხუთი დღიური ნახნავი წაართვა, დაფარცხული დასათესად მომზადებული, და ვენახის ღობე დაუნგრია.

3. სატივეში მემამულემ ხიზანს პირობის დაწერა მოსთხოვა, რაკი ხიზანი არ დასთანხმდა, ნახნავი წაართვა, მერე 30 მ. გამოართვა და ბათილამა არც კი მისცა.

4. სოფ. გორაში მემამულემ ხიზანს ძალით ვადიანი პირობა დაუწერა, თუ არა აყრას უპირებდა.

5. ს. ყინწვისში 1892 წ. სახლ-კარის მფლობელობაში 18 მან. იხდიდა ხიზანი. 1887 წ. 9 მან. იხდიდა მხოლოდ, 1878 წლამდის კი მარტო ძნის მოტანაში ეხმარებოდა მემამულეს და ნათლიდებას (6 იანვ.) ძღვენს მიართმევდა: 1—ქათამი, დოქი ღვინო და 9 პური.

6. სოფ. კამპერაში მემამულე გადასახადს ადიდებს დღიურის შემოკლებით და ჩანახის გადიდებით. 1875 წლებში ჩანახი 20—21 გირვანქა იყო. 1891 წ. ჩანახი 27 გირვ. უდრის. 1896 წ. 28—29 გირვანქას.

1885 წელს მომრიგებელ შუამავლის შემწეობით დადგენილ იყო ჩანახი 20 გირვანქა.

3 თიბათვეს 1891 წ. ხიზნების შესახებ კანონი გამოვიდა. შინაარსი ამ დებულებისა შემდეგია:

1. ხიზნათ ამ დებულების ძალით ის შეხიზნული გლეხია ცნობილი, რომელიც დაესახლა მემამულესთან აქამდის და რომელიც ხელწერილით არა ცხოვრობს.

2. სახლ-კარი, ვენახი, სახნავ-საძოვარი, რაც კი დღემდის ეჭირა ხიზანს, მასვე რჩება იმავე გადასახადით.

შენიშვნ. ორივე მხარეს შეუძლიან ერთმანეთს ხელწერილის პირობით შეეკრან.

3. სახლ-კარი, ვენახი, ბაღი, რაც კი თავის შრომით გაუშენებია—ხიზნის საკუთრებაა.

4. მამულის რაიმე გაუმჯობესება ან გადასახადის ცვლილება მემამულეს ხიზნის დაუკითხავად არ შეუძლიან, თუ არა ერთი-ორ ფასად უნდა უზღოს ზარალი.

5. მემამულეს ნება აქვს ხიზნის აყრისა, თუ 1-წლით ადრე გამოუცხადა და ზარალი უზღო მეშვიდე მუხლის ძალით. ხიზანს მამულიდან აყრის ნება არა აქვს თუ 1-წლით ადრე არ აცნობა მემამულეს, არც იმის ნება აქვს, სხვას რომ გადასცეს მფლობელობის უფლება მემამულის დაუკითხავად.

6. თუ ხიზანი თავის ნებით წავა, სახლ-კარი, ვენახი და სხვა ყველაფერი მემამულესა რჩება საკუთრებათ უფასოდ.

7. მემამულე თუ ხიზანს აჰყრის, უნდა ზარალი უზღოს მორიგებით. უკეთუ მორიგება არ მოხდა, მოვალეა **ერთი ორად უზღოს** შენობისა, ეზო-ყურისა და ვენახ-ბაღზე და-

---

*) იხ. „სახალ. გაზ." № 1178.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიულ ძალმომრეობას, რაც მცხოვრებთა ფართო წრეებში იწვევს ფარულ გაბრაზებას და აღშფოთებას, რაც ხელს უწყობს სახელმწიფოებრივობის საწინააღმდეგო ფართო მიმართულების აღმოცენებას; 3) ეწინააღმდეგება უმაღლესად გამოცხადებულ მონარქიის სურვილის განხორციელებას; 4) რომ ასეთი მდგომარეობა რუსეთის ძალას ასუსტებს და აუარებელ უბედურებას უქადის. სათათბირო მთავრობის ყურადღებას აქცევს ასეთი პოლიტიკისაგან წარმოშობილ საფრთხეზე და მორიგ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაზე გადადის.

ლვოვი მეორე ცენტრის მხრივ მხარს უჭერს ამ ფორმულას. ფორმულა მიიღეს 186 ხმით 95 წინააღმდეგ.

შემდეგი კრება გუშინ უნდა შემდგარიყო.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

პარიზი

აქ დაარსებულმა საქართველოს უფლებათა ლიგამ დიდებული მიტინგი გამართა ტირიფონის ველზე მოსახლე გლეხობის აყრის გამო. გამოიტანეს პროტესტი, რომელიც დაეგზავნა ევროპის დიდ ცენტრების გამოჩენილ პირებს. ფრანგულმა გაზეთებმა თანაგრძნობის წერილები დასტამბეს. განსაკუთრებით ვრცლად შეეხო საკითხს ჟორესის გაზეთი „ლ'ჰუმანიტე", რომელმაც აღნიშნა ქართველების შევიწროვება.

ახალი ამბავი

ტფილისი

ნ. ჟორდანიას ავადმყოფობა. გაზ. „აზრში" სწერია: ვენიდან (ავსტრია) გვწერენ: „ორი კვირაა რაც აქ მოვიდა ავადმყოფი ცნობილი ქართველი ჟურნალისტი ნ. ჟორდანია. მოსვლისთანავე კლინიკაში დაწვა; ექიმებმა მისი ავადმყოფობა სერიოზულად იცნეს, ორივე ფილტვი ძლიერ დაზიანებული აღმოაჩნდა. ურჩიეს წავიდეს ლეიზენში (შვეიცარიაში) ექიმ როლიეს სანატორიუმში, მაგრამ ნივთიერი ხელმოკლეობის გამო ჯერ-ჯერობით ვერ მიდის, რადგან იქ ექიმობა ძვირი ღირს. ამის გამო ავადმყოფი ჯერ-ჯერობით ფლორენცში იმყოფება.

ლაიპციგში, საქრისტიანო აღმოსავლეთის გამოფენის გვერდით **ქართული გამოფენა** იქნება. ყველაფერი საქართველოს შესახებ „კულტურის ყარავანში" და მის განსაკუთრებულ ნაწილში იქნება მოთავსებული. საქართველოს შესახებ და მათი ინტერესების დამცველად დოქ. შტიუბე იქნება. გამოფენა, საქსონიის მეფის ავგუსტის მიერ (ახალი სტ.), ექვს მაისს გაიხსნება.

მომღერალი სობინოვის გადარჩენა უბედურებისაგან. კავკავიდან 20 ვერსის მანძილზე ფერდობზე გადავარდა ავტომობილი, რომლითაც ტფილისიდან მიემგზავრებოდნენ გამოჩენილი მომღერალი სობინოვი, მსახიობი ქალი პოპელი-დავიდოვისა, ბარიტონი ანდოგა და სხვანი. ყველანი რაღაც სასწაულით უვნებლად გადარჩნენ. ისინი მთიულებმა კავკავამდე ურმით მიიყვანეს.

შავი ჭირის კომისიამ კავკასიის მეფის ნაცვლის განკარგულებაში გადასცა 15 ათასი მანეთი იმ გადამდებ სენის საწინააღმდეგო ზომების მისაღებად, რომელიც გამოჩნდა ბაქოს ახლო-მახლო სოფლებში და რომელთა ხასიათი ჯერ გამორკვეული არ არის.

პოლიტეხნიკუმი. კვირას, 4 მაისს, ნაშუადღევის 2 საათზე, ნავთლუღში პოლიტეხნიკუმის საძირკველი ჩაყარეს მეფის მოადგილისა და სამხედრო-სამოქალაქო უწყებათა უმაღლეს წარმომადგენლების თანადასწრებით. წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა. საპოლიტეხნიკუმო ადგილი ამ დღეს საგანგებოდ იყო მორთული.

ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს წინაშე შუამდგომლობაა აღძრული, რათა კაჯრეთში საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილება დაარსდეს.

უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო ქართ. დრამ. საზოგადოებას, რათა 11 მაისს ტფილისში **სცენის მოღვაწეთა კრება** მოიწვიოს წინასწარ შეთანხმებულ პროგრამით.

ექსკურსია. ივნისის პირველ რიცხვებში ტფილისს ჩამოვა სამარის მეორე საქალებო გიმნაზიის მოსწავლეთა ექსკურსია.

პანაშვიდი. კვირას, 4 მაისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, ბოლოვნის ანტონ ფურცელაძის გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. ხალხი ბლომად დაესწრო.

კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის აქციებზე ხელის მოწერა გრძელდება და გასტანს 7 მაისამდე; ამ ჟამად ხელი მოწერილი აქვთ სამ მილიონ მეტ აქციაზე. სრული იმედია, რომ ძირითადი თანხა ოთხი მილიონი შესდგება.

იაფ ბინების გამართვის წესების პროექტი ქალაქის გამგეობამ უკვე შეიმუშავა და გუშინ დასამტკიცებლად გუბერნატორს წარუდგინა.

4 მაისს ნავთლუღის სადგურიდან ტფილისში მომავალმა მატარებელმა ორივე ფეხი მოსწყვიტა მუშას საკ. ტულ-გასპარიანცს.

შეიპყრეს ყარსის ოლქის მცხოვრები კარაპეტ მანუკოვი, რომელსაც კაცის მოკვლა და მრავალ ძარცვა-გლეჯის ჩადენა ბრალდება.

დ. ზ. სარაჯიშვილის ნაანდერძევი მიწა, როგორც ვწერდით, ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებისაგან ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობამ შეიძინა. როგორც გავიგეთ, თავად-აზნაურობას განზრახვა აქვს, ამ მიწაზე წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულოს შენობა აავოს.

მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლა საბურთალოზე. ერთი წელიწადია, რაც ამ საზოგადოებამ ააგო საბურთალოზე თავშესაფარი მოხუცებულ და დამსახურებულ მასწავლებელ ქალთათვის. რადგანაც ეს თავშესაფარი პირველ ხანებში თავის პირდაპირ დანიშნულებას ვერ მიაღწევდა, ამიტომ ქალთა საზოგადოებამ გახსნა ამ თავშესაფარში ღვინობისთვეში ორ განყოფილებიანი პირველ-დაწყებითი სკოლა, სადაც, შეგროვდა ორმოცდა ათამდე ქალ-ვაჟი, უმეტეს ნაწილად ქართველები. მასწავლებლად დაინიშნა ქ-ნი ოლღა თოიძე. სწავლის ფასი თვეში ათი შაურია. მიუხედავად დიდ ხარჯებისა, ეს საზოგადოება არ უშინდება ზარალს და დიდ ენერგიით უძღვება პატარა ბალღების გაწრთვნას და საერთოდ საბურთალოში სწავლის მოფენას...

დღეს, ექვს მაისს, ეს მასწავლებელთა საზოგადოება ჰმართავს თავის თავშესაფარში, საბურთალოზე, კინემატოგრაფიულ სურათების ჩვენებას. იმედია, საბურთალოს საზოგადოება თანაგრძნობით მოეპყრობა მას.

რედაქციამ მიიღო **ისონ კერესელიძის** გამოცემული **ალ. ყაზბეგის „ელგუჯა"**. მოთხრობა შეუმოკლებლად არის დაბეჭდილი, როგორც ავტორსა ჰქონდა თავდაპირველად. წიგნს დართული აქვს ავტორისა და ვაჟა-ფშაველას სურათი, სუფთად არის გამოცემული და **ორ აბაზად** ღირს.

ქველ მოქმედთა საყურადღებოდ. წალკის მისახვევში (სახლი № 1) სცხოვრობს ყოვლად უმწეო ქვრივი ბერიანიძისა, რომელსაც სარჩენი ჰყავს ორი ქალი, ერთი სნეულია. ყოველივე დახმარება უნდა გაიგზავნოს ზემოხსენებულის მისამართით.

საზოგადოებანი და კრებები

თავად-აზნაურთა შორის. გუბერნატორმა ნება დართო, რათა 1 ივნისს თავად-აზნაურთა კრება მოიწვიონ. კრების საგნებია: 1) 1913 წლის თანხები და 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, 2) მოხსენება კახეთის რკინის გზის მდგომარეობის შესახებ 3) მამულების შეძენა სხვა და სხვა ადგილას და 4) საერთო სათავად-აზნაურო ფონდის შექმნა საყოველთაო სასარგებლო საქმეებისთვის.

ქუთაისი

2 მაისს ქუთ. დრამატიული საზოგადოების კრებაზე დაადგინეს: 1) გაგზავნონ ტფილისს, ტფილისის ქართულ დრამატიულ კრებაზე დასასწრებლად 11 მაისისათვის სამი კაცი: ორი საზოგადოებიდან და ერთი კი გამგეობიდან. საზოგადოებიდან აირჩიეს ექიმი კ. ტყეშელაშვილი და გრ. გიორგაძე, გამგეობიდან კი გრ. გველესიანი. 2) დაადგინეს იყოლიონ მომავალ სეზონში კარგი დახელოვნებული დასი, ხოლო წარმოდგენები იდგმებოდეს დაკლებულ ფასებში. ამასთანავე ყურადღება ექმნეს მიქცეული რეპერტუარს. 3) საწევრო გადასახადი კამათს შემდეგ, 3 მანეთის ნაცვლად 1 მანეთად გახადეს. 4) პურაძიშვილმა და კრინიცკიმ გამგეობიდან გათავისუფლება განაცხადეს. მაგრამ საზოგადოებამ ეს არ შეიწყნარა. გამგეობაში ისევ ძველი წევრები დარჩნენ. მათ თანაშემწეებად აირჩიეს დათუშიძე და ქ-ნი ლორთქიფანიძისა.

ბაქო

სოფ. თურქიანში ორი დღის განმავლობაში ერთი გარდაიცვალა. ჩამოვიდა კავკასიაში საექიმო ნაწილის გამგე.

სიღნაღი

ს. ზემო-ქედში ივანე ბუტრუტაურიძემ ჩხუბის დროს ხანჯლით მოკლა გიგოლა ხორხელაშვილი.

რკინის გზაზე

ბალაჯარის სადგურის მესაყვირე **კონსტანტინე ჯაბიშვილი** ტფილისის საავადმყოფოში იწვა. იგი დამპალ ციებისაგან მოარჩინეს. 8 მაისს საავადმყოფოდან გამოსწერეს და სახლისაკენ გაემართა გამოსაკეთებლად. სად. სურას მახლობლად იგი უცებ გარდაიცვალა.

მასხარული სტატისტიკა ბატონ იშხანიანისა *)

როცა ადამიანი ბატონ იშხანიანის ბროშურას ჰკითხულობს ის ალბად იმ გრძნობას განიცდის, რომელსაც განიცდიდნენ საშუალო საუკუნეების დამნაშავენი, როცა თავზე მათ რკინის ქახრაკს უჭერდნენ. მისი სული მშრალი, ვიწრო და ტრივიალურია და ასიოდე გვერდის სივრცეზე მკითხველი ამაოდ ეძებს ერთს ცოცხალს იდეას, ერთს ორიგინალურს შეხედულებას. გ. ფლობერის სიტყვები თითქოს ამ მწერალზე არის გამოთქმული: მისი აზროვნება გატკეპნილია ტროტუარივით და ყოველდღიურს ტანისამოსში გახვეული, გაცვეთილი იდეები არ იწვევენ არც აღელვებას, არც ღიმილს, არც ოცნებას.

ხშირად ის საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებებს იმეორებს ჩეხოვის იპოლიტ იპოლიტიჩისავით. „ზამთარში ცივა და ოთახის გათბობაა საჭირო, ზაფხულში პირიქით საგრძნობლად თბილა და მაშასადამე ცეცხლის დანთებაც ზედმეტია... ვოლგა კასპიის ზღვას ერთვის... ქართველებს მრავალრიცხოვანი თავად-აზნაურობა ჰყავს, სომხებში კი მეტი ჩარჩები და მედუქნეებია".

ამ თავის უკანასკნელ აღმოჩენას ბატონი იშხანიანი, თუ არ ვსცდებით, მეტს მნიშვნელობას უნდა აძლევდეს ვიდრე ევროპიელი მეცნიერები მარქსის, კიურის ან ერლიხის აღმოჩენებს ასაკუთრებენ. იმ გადაჭარბებულის სითამამით, რომელიც ასე დამახასიათებელია ყოველი გონება ვიწრო და უმეცარი ადამიანისთვის, ის გაიძახის: „მიჩვენეთ ერთი ისეთი ერი ან ხალხი აზიასა და ევროპაში, ამ ძველი და ახალი კულტურის აკვნებში, რომლის 5,26%-ს მემკვიდრეობითი თავ.-აზნაურობა შეადგენდეს, როგორც ამას ქართველობაში ვხედავთ".

უმორჩილესად მოვახსენებთ ბატონ იშხანიანს, რომ თუ ის თავის გონებრივს ჰორიზონტზე ვერსად ჰხედავს ისეთ ხალხს, რომელსაც ისეთივე მრავალ რიცხოვანი თავად-აზნაურობა ჰყავდეს, როგორც ქართველობას, ამაში არც აზია და არც ევროპა და არც მით უმეტეს ჩვენი სამშობლო დამნაშავე არ არის. ასეთი ხალხის აღმოსაჩენად არც „კულტურის აკვანთა" ძიებაა საჭირო. სწორედ იმ რუსეთის საზღვრებში, რომლის „სინამდვილის" შესახებ ბატონი იშხანიანი ასეთი შეუდარებელ ავტორიტეტული ტონით გვესაუბრება, მოიპოვება ერი ქართველებისაზე ბევრად უფრო მრავალ რიცხოვანი და გავლენიანი თავად-აზნაურობით. ეს ერი ოსტზეის მხრის გერმანელებია.

მაშინ როცა საქართველოში თავად-აზნაურობა მცხოვრებთა საერთო რიცხვის 5%-ს ძლივს სცილდება, ოსტზეის გერმანელებს შორის ის თითქმის 15%-მდე აღის. ამასთან ერთად კურლანდიასა და ლიფლანდიაში ბარონებს მთელი დასამუშავებელ ტერიტორიის ნახევარი ეკუთვნის.

მაგრამ ამ გარემოების მიუხედავად ოსტზეის გერმანელობა, როგორც ვიცით, ცოტა უფრო ახლო სდგას როგორც თანამედროვე კულტურასა ისე თანამედროვე კაპიტალიზმთან ვიდრე ქართველობა ან თუნდა თავად-აზნაურობას მოკლებული ოსმალელი და კავკასიელი სომხობა.

ეს იმით აიხსნება რომ ერის ეკონომიური ჩამორჩენა თუ დაწინაურება არასოდეს არ განისაზღვრება მხოლოდ მისი წოდებრივი და პროფესიონალური შემადგენლობით. თუ რუსინები, ლიტოველები, სომხები, ებრაელები და სხ. მემკვიდრეობით არისტოკრატიას არიან მოკლებულნი და უფრო ჰომოგენიურს მასსას წარმოადგენენ ვიდრე თანამედროვე ინგლისელები და გერმანელები, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს რომ პირველი უფრო თავისუფალნი იყვნენ „ფეოდალური ნაშთებისაგან" ვიდრე უკანასკნელნი. პირიქით: ინგლისელ ლორდის და გერმანელ ბარონის მეურნეობა თანამედროვე ტეხნიკის ნიადაგზე სდგას, მისი დამოკიდებულება მუშასთან და ბაზართან კაპიტალისტურია, ებრაელი ხელოსანი და სომეხი ჩარჩი კი უკვე განვლილი ეკონომიური საფეხურის ნაშთს წარმოადგენენ და დიდათ უშლიან ხელს კულტურულს წინსვლას.

აქედან ცხადია თუ რა მეცნიერული ფასი აქვს იმ სტატისტიკურს ცნობებს, რომელიც თავის ბროშურაში მოჰყავს ბატონ იშხანიანს. ამ ცნობების მიხედვით ქართველი თავად-აზნაურობა რვაჯერ სჭარბობს სომხებისას, სამაგიეროდ სომხების „მოქალაქეობრივი ელემენტები" ე. ი. „ვაჭარ-მრეწველნი" სამჯერ უფრო მრავალრიცხოვანნი არიან ვიდრე ქართველი ანალოგიური კლასები.

ეს სტატისტიკა ბატონ იშხანიანს სრულიად საკმაოდ მიაჩნია რომ საქართველოს უკან ჩამორჩენა და სომხეთის დაწინაურება დააკანონოს. სინამდვილეში კი ის არაფერს არ ამტკიცებს იმიტომ რომ არაფერს ამბობს ამ ორი ერის სოციალური ელემენტების ეკონომიურს როლსა და განვითარებაზე. თუ სომხებს დღეს მცირერიცხოვანი თავად-აზნაურობა ჰყავს ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ მეთერთმეტე საუკუნეში თურქ-მონგოლთა ტომებმა მათ ეროვნულ თავისუფლებასთან ერთად ეროვნული არისტოკრატიაც მოუსპეს. იმ ხანამდის მათ ძლიერ განვითარებული ჰქონდათ წოდებრივი განსხვავებანი, ისინი ტიპიურ ფეოდალურს საზოგადოებას წარმოადგენდნენ. ეს ფეოდალური წესწყობილება, ეს უპირატესობით აღჭურვილი არისტოკრატია მოსპო არა ერის შინაგანმა დამოუკიდებელმა ეკონომიურმა განვითარებამ როგორც მაგ. საფრანგეთში, არამედ გარეგანმა ველურმა ძალამ. ეროვნული არისტოკრატიის ადგილი თურქ-მონგოლთა მხედრებმა დაიჭირეს. სომხობა დემოსად გადაიქცა, ულხოვლების ყმებად, მაგრამ დემოსიდან თანამედროვე დემოკრატიამდე დიდი მანძილია.

ამ ისტორიული წარსულის ნიშანი დღესაც ატყვია სომხის ერს. მისი თავად-აზნაურობა მცირერიცხოვანი და სუსტია, მაგრამ თვით მასსა უცხო თავად-აზნაურობაზეა დამოკიდებული ეკონომიურად და მორალურად. ამიტომ ფეოდალური ნაშთები სომხების პროვინციებში კიდევ უფრო ძლიერია, ვიდრე საქართველოში; იქ ეკონომიურ ჩაგვრას, ეროვნული ჩაგვრაც ერთვის ზედ.

გერონტი ქიქოძე.

---

*) იხ. „სახალხო გაზეთი", 3 მაისი 914 წელ.

შრომის ჯგუფის განმარტება

ვ. გელოვანის შესახებ

ჩვენ მივიღეთ შრომის ჯგუფის თავმჯდომარისაგან შემდეგი წერილი: „მ. ხ. ბატონო რედაქტორო. 17 აპრილს „სევერნაია რაბოჩაია გაზეტა"-ში დაბეჭდილი იყო მემარცხენე ქართველი სტუდენტობის განცხადება შესახებ იმისა, რომ „გელოვანს ადგილი არა აქვს შრომის ჯგუფში", ვინაიდან იგი 1) სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო კომისიაში იცავდა ხალხის უფლებით მოვაჭრე თ. მინგრელსკის ინტერესებს; 2) სახელმწიფო სათათბიროს საადგილ-მამულო კომისიაში მხარს უჭერდა ქართველ თ.-აზნაურობის ინტერესებს წინააღმდეგ ხიზანთა ინტერესებისა და ამით ხელი შეუწყო ხიზანთა ნახევრად ყმური ურთიერთობის ლიკვიდაციის გადადებას; 3) მან მემამულეების ინტერესებს მსხვერპლად შესწირა უხუთის 90 კომლი გლეხის კეთილდღეობა და ამ დანაშაულის დასაფარავად მიმართა სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებას".

ამის საპასუხოდ შრომის ჯგუფმა მომანდო მე, გამოვაცხადო შემდეგი:

1) ვ. გელოვანის მონაწილეობა თ. მინგრელსკის საქმეებში განისაზღვრა საზოგადოთ მით, რომ იგი აწარმოებდა ადმინისტრატიულ საქმეს მინგრელსკისათვის ერთი მილიონის გადახდის შესახებ, რომელიც ერგებოდა მას (მინგრელსკის) სამთავრო უფლებათა დათმობისათვის, თანახმად 1867 წ. რუსეთის მთავრობასთან დადებულ ხელ-შეკრულობისა. ხოლო სახელმწიფო სათათბიროში გელოვანის დამოკიდებულობა ამ საქმესთან გამოიხატა იმაში, რომ ვ. გელოვანმა საბიუჯეტო კომისიაში (1913 წ. 14 მარტს) განაცხადა, რომ სათათბიროს წევრად არჩევის უმალვე მან უარი სთქვა თ. მინგრელსკის ამ ერთად ერთის საქმის წარმოებაზედაც. 2) სახელმწიფო სათათბიროს საადგილ-მამულო კომისიაში ვ. გელოვანი მოქმედებდა სრულიად შეთანხმებულად ქართველ დეპუტატ ჩხეიძესთან, მასთან ერთად შეჰქონდა წინადადებანი გლეხების ინტერესების დასაცავად და ზოგიერთი გაუმჯობესობა ხსენებული კანონ-პროექტისა მიღებულ იქმნა ვ. გელოვანის და ნ. ჩხეიძის მეთაურობით. 3) კავკასიური გაზეთები (გაზეთი), რომელთაც დაბეჭდეს ცნობა შესახებ „ბოროტ-მოქმედებისა" და „დანაშაულისა" უხუთის გლეხების საქმეში, გელოვანმა პასუხისგებაში მისცა ცილისწამებისათვის.

ყოველივე ამის მიხედვით ცხადია, რომ პირველსა და მეორე მუხლებში მოხსენებულ გარემოებას არც შეეძლო ნამდვილად მიეცა რაიმე საბაბი საკითხის აღსაძრავად: ღირსია თუ არა ვ. გელოვანი იყოს შრომის ჯგუფში.

რაც შეეხება მესამე მუხლს, უადგილოა რაიმე ბრალის დადება, სანამ სასამართლო საქმეს გაარჩევდეს.

ამას გარდა მოვალეობად მიმაჩნია განვაცხადო, რომ ვ. გელოვანი უცვლელად აღჭურვილია შრომის ფრაქციის სრულის ნდობით.

მეტი არ იქნება იმის აღნიშვნაც, რომ თუმცა განცხადება ხელმოწერილია „სოც.-დემოკრატების მომხრეების და მემარცხენე ხალხოსნების (ესერების) მიერ", მაგრამ ფრაქციის ცნობებით ქართველ სტუდენტების მეხალხოსნე ჯგუფიდან მონაწილეობას იღებდა მხოლოდ სამი და მათაც არ ჰქონდათ რაიმე რწმუნებულობა დანარჩენ თავის ამხანაგებისაგან.

ყოველ შემთხვევაში, გელოვან-მინგრელსკის საქმის გამო სამედიატორო სასამართლოს გამოტანილ განაჩენის შემდეგ ფრთხილად უნდა იყოს ყველა, ვისაც შესაძლებლად მიაჩნია პარტიულ ბრძოლაში პირადი გამოლაშქრება. შრომის ჯგუფის ფრაქციის თავმჯდომარე ა. კერენსკი. 1914 წ. აპრილის 30-ს".

ხარჯული შრომა, აგრეთვე თუ მიწა გააუმჯობესა და გაანოყიერა.

შენიშვნ. თუ ხიზანი თან წაიღებს სახლ-კარის მასალას, მემამულე არაფერს უზღავს.

8. შეფასება ორმაგ საფასურის ხიზნის ზარალისა მორიგებითა ხდება, თუ არა და მომრიგებელი შუამავლი 3–5 ადგილობრივ მცოდნე კაცის ჩვენებით შეაფასებს. თუ ამ შეფასების წინააღმდეგი არავინ არის, სავალდებულო ხდება. წინააღმდეგ, საგლეხო საკრებულო შეაფასებს მხოლოდ ერთი მეხუთედის ან მომატება შეუძლიან, ან დაკლება, ან ხელ-ახლა შეფასებას დანიშნავს.

9. ხიზანსა და მემამულის დავას საგლეხო საკრებულო სწყვეტს.

10. უვადო მფლობელობა ხიზნისა შეიძლება მემამულესთან შეთანხმებით ვადიანად იქცეს ხელწერილის ძალით, რაც დამოწმებული უნდა იყვეს მომრიგებელ შუამავლის მიერ. ან ხიზანს შეუძლიან საკუთრებათ შეიძინოს მთავრობის დახმარებით მთელი მიწა.

ეს დებულება გამოქვეყნდა 10—აგვისტოს 1891 წ.

ამ დებულებამ ხიზნებათ იცნო ის დროებით ვალდებული გლეხიც, რომელსაც სადმე ერთი ჩიჩქნა მიწა აქვს.

უფლება მემამულისა, როგორც მესაკუთრისა, შეზღუდვილია: არ შეუძლიან ხიზნის დაუკითხავად რამე ცვლილება მოახდინოს მფლობელობის წესში და თუ ხიზანს აჰყრის ერთი-ორად უნდა უზღოს ზარალი.

როგორც ჰხედავთ, თავად-აზნაურობის მტკიცება, რომ ხიზანი უბრალო მოიჯარადრეა და როცა ჩვენი სურვილი იქნება, მაშინ ავყრითო, მთავრობამ ყურად იღო, მხოლოდ ორმაგად ზარალის ანაზღაურება მიტომ დაუწესა, რომ ცოტათი მაინც შეეჩერებინა ხიზნების გაუბედურება.

ჯერ ის მელანი, რომლითაც კანონი დაიწერა, ხეირიანად არც კი გამშრალიყო, რომ თავად-აზნაურობა აიმრიზა, უკმაყოფილო ბავშვივით ავ-ზნიანობა დაიწყო და კანონი უვარგისად გამოაცხადა. ერთი მხრივ მთავრობას გამოეხმაურა კანონის შესაცვლელად და მეორის მხრივ ხიზანთან ურთიერთობის წყალი აამღვრია და კანონს ან დამალვა დაუწყო, ან თავისებურად ახსნა და ჩვენებურად კი... გადამახინჯება.

15 დეკემბერს 1891 წელს თავად-აზნაურობას ტფილისში განსაკუთრებითი სხდომა ჰქონდა ამ კანონის დასამატებლად ან შესაცვლელად შუამდგომლობა აღძრა.

თავად-აზნაურობა ამბობდა: „ამ დებულების (3 ივნ. 1891 წ.). მიზანია ხიზნობა მოსპოსო. პირველ მუხლით კი ყველა შემთხვევითი მოიჯარადრე ხიზნად გამოაცხადა, ვინც უხელწერილოდ ცხოვრობსო".

ხომ ჰხედავთ? ჯერ მოიჯარადრედ გამოაცხადეს და ეხლა „შემთხვევითს" ეძახიან. ჯერ იყვირეს: ჩვენ ადათის დამცველები ვართო. ადათით ხიზნის აყრა არ შეიძლებოდა, ეს შეიძლეს, გადალახეს ადათი, რაკი ეს გადალახვა საჭირო იყო. გადასახადებსაც შესცვლიდნენ ამას იქით, თუ აქამდის სცვლიდნენ; აყრით შეშინებული ხიზანი ყველაფერს დასთანხმდებოდა.

თავად-აზნაურობა ჩივის: „ხიზანი და უბრალო მოიჯარადრე როგორ უნდა გავარჩიოთ, ერთნი არიანო".

ამ 15 დეკემბრის თათბირმა 7 კაცი აირჩია, რომელთაც დაავალა მთავრობასთან მოხსენება წარედგინა ამ „დებულების" თავად-აზნაურობის სასარგებლოდ შესაცვლელად და დასამატებლად.

„თავად-აზნაურობა ჯერ ბატონყმობის გადავარდნით ვერ გასწორებულა წელში, ვკითხულობთ თ.-აზნაურობის მოხსენებაში: და ეხლა ხიზნობის საკითხის გადაწყვეტით ახალ მსხვერპლსა სთხოვენ, რაიც არ შეუძლიათ, ამიტომ იძულებულ არიან მიჰმართონ თხოვნით თვითმპყრობელ მთავრობას. მიზანი ამ მოხსენებისა: გავაშუქოთ ხიზანთა საკითხი, ნამდვილად კი—შეუმსუბუქდეს თავად-აზნაურობას ხელმწიფებრივი მოწყალებისა და სამართლიანობის გზით ეს აუტანელი მდგომარეობა".

16 გვ. იმავე მოხსენებისა: „თავად-აზნაურობის მდგომარეობა იმგვარია, რომ ამაზე აუტანელი წარმოუდგენელია".

40 გვ. „თავად-აზნაურობას ეხლაც კი ამჩნევია კვალი ბატონ-ყმობის გადავარდნისა."

41 გვ. განაგრძობს:—„სახელმწიფო გადასახადმა 1890 წლიდან დესეტინაზე 1 კ.-დან 5 კაპ.-მდე აიწია. სამხედრო სკოლები დაიკეტა პოლკებთან. მიწა მცირდება, მონაწილენი მრავლდებიან. სკოლებში უფრო გლეხისა და მოქალაქის შვილებს იღებენ, როგორც უკეთ მომზადებულებს. ბანკის ხარჯზე აგებული თავად-აზნაურთა სკოლა წინ ვერ მიდის.

43 გვ. „ეხლა ყველაფერი გაძვირდა. თავად-აზნაურობას დააკისრეს სამხედრო და საერობო გადასახადები. საგერბო ქაღალდი წინად 15 კ. ღირდა, ეხლა 80 კ. ჩვენ ბავშვებს წინად ყველა სასწავლებლებში მოუმზადებლად იღებდნენ. ეხლა აუარებელ ხარჯს ვეწევით და არც ვიცით, მიიღებენ სასწავლებელში, თუ არა.

„3 ივნ. 1891 წ. კანონს მიზნად აქვს თავად-აზნაურების გაპროლეტარება (გაღარიბება). ნუ თუ მთავრობის მიზანია ეს? აგვიხსენით. საქმე იქამდის არის მისული, რომ „აზნაურების" გატეხას უნდა მიჰყოს ხელი თავად-აზნაურობამ, რადგან მამაპაპეული ხიზნებს გაუბოძესო".

30 გვ.—„მართალია, უმიწო გლეხს მიწა უნდა მიეცეს, მაგრამ არა თავად-აზნაურობისა, რომელთა უმიწოდ დარჩენა სახელმწიფოს უფრო ძვირად დაუჯდება, ვიდრე გლეხებისა.

„უკეთუ ხიზანი დროზე ღალას არ მოგვცემს „დებულების" 9 მუხ. ძალით უნდა უჩივლოთ და ცდა წლობით დაგვჭირდება. ეს კი თავად-აზნაურობის დამშევას გამოიწვევს და მიწების ჩალის ფასად გაყიდვას.

„მთავრობას არ ეგონოს, ვითომ მას ვეურჩებოდეთ. ღმერთმა დაგვიფაროს! პირიქით, თუ ჩვენი მიწები მთავრობას სჭირდება, მივცემთ, რადგან თავად-აზნაურობის მიზანია (დევიზი): დამორჩილება! თუმცა სრულებით არა გვგონია, ვითომ ხელმწიფის მოწყალება და სამართლიანობამ თავად-აზნაურობა ამ უკიდურესს მდგომარეობამდის მიიყვანოს".

შემდეგ „მოხსენებაში" არ იწონებენ 3 ივნ. 1891 წ. კანონს. ახიშნავენ იმ გარემოებას, რომ „სრულად" და „სწორედ" არავის გაუშუქებია ხიზანთა საკითხი. ეს კანონი მფლობელების (ე. ი. თავად-აზნ.) უფლებას უბრალო მოიჯარადრეთა სასარგებლოთ ზღუდავსო. ორნაირი ანაზღაურება ხიზნის ზარალისა დიდათ სამძიმოა თავად-აზნაურობისთვისო".

ივ. ქარბელაშვილი.

(შემდეგი იქნება)

მესხეთის კართ. კათოლიკეთა უნუგეშო მდგომარეობა

(წერილი ახალციხიდან).

როგორც ვწერდით, სომხ. გაზეთმა „ჰორიზონმა“ ცრუ ხმები გაავრცელა, ვითომც ართვინის სომეხ-კათოლიკეთა სამღვდელოებას მიეღო მოწერილობა, რომ თავიანთ ეკლესიებში ამის შემდეგ სომხური ენის მაგიერ ლათინურის წესით, ლათინურად იქნება წირვა-ლოცვა და მათი საეკლესიო სკოლებიც ლათინის სამღვდელოებას დაექვემდებარებაო. ეს ცრუ ხმები „ჰორიზონმა“ განგებ გაავრცელა, რათა აეღელვებინა სომხები ვატიკანისადმი იმ მოსაზრებით რომ ქართველ კათოლიკეებისათვის, რომელ თაც ჰსურთ სომხის ტიბიკონიდან ჩამოშორება და ლათინის წესზე გადასვლას თხოულობენ, ხელი შეეშალათ, რომ ისევ სომხის ტიბიკონზე დარჩენილიყვნენ. ასეთ პროვოკაციამ, ცოტა არ იყოს საგონებელში ჩაყარა მესხეთის ყველა კათოლიკე ქართველები. მოკლედ რომ ვთქვათ იმედი დაეკარგათ ლათინის წესზე გადასვლისა. და რახან იმათ მაინც და მაინც აღარ ჰსურთ არა სასურველ სომხეთ-ტიბიკონზე დარჩენა, შემდეგს მოსაზრებას დაადგნენ, რომელნიც ახლა ორ სხვა და სხვა ჯგუფებათ დაიყვნენ. ერთი ჯგუფი ამბობს, რახან საშველი აღარ გვაქვს, დავანებოთ კათოლიკობას თავი და სხვა სექტა მივიღოთო; ამ სექტისათვის კიდეც დაასახელეს თავიანთ შორის პასტორათაც ერთი ამ სარწმუნოების მცოდნე პირი.

მეორე ჯგუფი კიდევ გულს არ იტეხს და გადასწყვიტეს რომში გაგზავნონ წარმომადგენელნი პაპთან პირისპირ სათხოვნელად და თავიანთი აუტანელი მდგომარეობის მოსახსენებლად, თუ რასაც განიცდიან სომხის ტიბიკონის სასულიერო მმართველობისაგან. ჩემის აზრით, წარმომადგენლების გაგზავნა აჯობებს და კიდეც გაიმარჯვებს.

მესხი ქ. გვარამაძე.

ერწოს მხრის ამბები

აქეთ ზამთარმა მშვენიერის ამინდებით გაიარა, სამაგიეროდ, გაზაფხული ძრიელ გრილი და სუსხიანი იყო და არის ჯერ-ჯერობით.

გაზაფხულის ხვნა-თესვა ჯერ არ გათავებულა, ხეხილი ჯერ არ დაყვავილებულა, რომელსაც ძრიელ კარგი პირი უჩანს და ბალახით საქონელი ჯერ ვერა ძღება, თუმცა აპრილი გავიდა. ტყეში წიფელს კარგი სხმა ეტყობა, რაიცა ღორის პატრონს იმედს აძლევს ღორის გასუქებისას; წარსული ორი წელიწადს წიფელი სულ არ იყო აქეთ, ამიტომ ღორის პატრონთ ზარალი მოუვიდათ.

21 აპრილს სოფელ საყდრიონში, ერთს გლეხს ნიშნობა ჰქონდა. შეზარხოშებულ ხალხში. ორი მეზობელი გლეხი შელაპარაკდნენ და მერე ლაპარაკი ჩხუბად გადაიქცა; ბოლოს ერთმა მეორეს დაუშინა ხანჯალი და მოჰკლა; ეხლა მკვლელი თავს ასე მართლულობს: შემომივარდა სახლში და ძალად შემომაკლა თავიო. ასეთი უბედური მოვლენები სიმთვრალით ხშირად ხდება ხოლმე აქეთ, საუბედუროდ.

მეორე უფრო შემზარავი და საზიზღარი ამბავი მოხდა სოფელ მაგრანეთში (ნაქალაქრის საზოგადოებაში). შალვა ბეწუკლიშვილის მოჯამაგირე სოფ. ნორიელი ჩვიდმეტი წლის ბიჭი და ფოცხვერაშვილის 12 წლის ქალი მინდორში ერთად მწყესდნენ ძროხებს. ბეწუკლიშვილის მოჯამაგირეს, საბრალო მცირეწლოვანი ქალი ჯერ გაეუპატიურებინა, და მერე ქალი რომ დამუქრებოდა, გაგცემო, ბიჭს წაეკირებინა თასმა ყელში და ქალი დაეხრჩო; მერე მოეკიდებინა ზურგზე, წაეღო, ხეში ჩაეტანა და ზედ კუნძები დაეყარა. ბოროტმოქმედისთვის თვალი მოეკრა სხვა მწყემს ბიჭს, რომელსაც ბოროტ-მოქმედი გამოსტეხოდა: ასეთი საქმე ჩავიდინე და ნუ გამცემო; საღამოთი ქალი რო შინ არ მოვიდა, პატრონებმა კითხვა დაუწყეს ბიჭებს, ბიჭები, რასაკვირველია, არა ტყდებოდნენ, მაგრამ პოლიციამ რომ შეაშინა, მაშინვე გამოტყდნენ და ბოროტ-მოქმედმა მაშინვე აღიარა, მარტო მე ჩავიდინე ბოროტებაო; ბოროტ-მოქმედი შეიპყრეს და თიანეთში გაგზავნეს.

სოფ. სიონ-დიდმელაურელების მდგომარეობა თანდათან მწვავდება. ზაქარია ქავქავაძის მამულის ახალი მფლობელი ბა—ნი ბანდარენკო, ახალ მოთხოვნილებებს თხოულობს გლეხებისაგან, და გლეხებს კი ეს დიდად უმძიმდებათ, მაგალითად, ბანდარენკო თხოულობს: სოფელმა 8 დესეტინა მომიხანით, მერე როგორც ეს რვა დესეტინა ისე სხვა მოსავლის მეოთხედი მომიკეთ, მომიზიდეთ და გამილეწეთო. აგრეთვე, მსხვილფეხ საქონელზე საზაფხულო საძოვარს სულზე 75 კ. ცხვარზე 30 კ. ღორზედაც 30 კ. თუ წიფელში შეუშვეს ღორი მაშინ სულზე 60 კ. საქონელი ტყეში აძოვეთ და მინდორში კი არაო, ტყეში კი არაფერი საძოვარი მოიპოვება საქონლისთვის; თუ ასე არ გინდათ, ფულად დესეტინაზე, პურზედაც და ქერსიმინდზედაც, ცხრა მანეთი მაძლიეთო და სხვა. ამ ნაირად, სიონ-დიდმელაურები დიდ გაჭირვებასა და საგონებელში არიან ჩაცვივნულნი და ამბობენ: „ჩვენს მამა-პაპათ აქ ასი წლობით უცხოვრიათ და ხიზნები ყოფილან. და ეხლა აღარც ხიზნის უფლებას გვაძლევენ და სულსაც გვიხუთავენო“. აი, ამიტომ, სიონ-დიდმელაურელებმა მეფის მოადგილეს თხოვნა მიართვეს: „გვიყავით მოწყალება, კომისია დაგვინიშნეთ და ჩვენი საქმე გამოიკვლიეთ, რომ ჩვენი მამაპაპანი ხიზნები ყოფილან და, ჩვენ კი რაღად გვიკარგავენ ხიზნის უფლებასაო“. ვნახოთ რა განკარგულებას მოახდენს მეფის მოადგილე...

ქართველი თხებში ნამყოფი.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

3 მაისი.

უ ც ხ ო ე თ ი.

ბერლინი. რეიხსტაგმა მესამე კითხვისას მიიღო კანონ-პროექტი შპიონაჟის თაობაზე.

ვენა. იმპერატორის განკარგულებით ლანდტაგის დეპუტატი სტანისლავ ნეზაბიტოვსკი გალიციის მარშლად დაინიშნა.

ვენა. „ალბანიშე-კორესპონდენცი“ იუწყება: კორფუში ხმებია, ვითომც პრინციპიალურ თანხმობით დასრულდა მოლაპარაკება საკანტროლო პალატისა და ეპირელ მეამბოხეთა წარმომადგენლისა. ამ ჟამად მხოლოდ წვრილ მანებზეა ლაპარაკი.

რომი. დაიწყო ქალთა საერთაშორისო კონგრესის სხდომები.

თამბაქოს მონოპოლიის მუშათა საგიტაციო კომიტეტმა გაფიცვა დასრულებულად გამოაცხადა.

ბელგრადი. მეფემ ამნისტია გამოაცხადა ყველა პოლიტიკურ დამნაშავეთათვის ომის დაწყებიდან ბუქარესტის ზავამდე.

პრაგა. ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს „ნაროდნი ლისტის“ რედაქტორი დოქტორი გალერი, რომელსაც ბრალსა სდებდნენ ჩეხის ნაციონალისტის შვიხას ცილისწამებისათვის. გაზეთი შვიხას აბრალებდა მთავრობის აგენტობას. სასამართლომ სცნო, რომ გალერმა საკმაო საბუთები წარადგინა თავის გასამართლებლად.

ათინა. ფრაკიიდან ბერძნების განდევნა გრძელდება. გამოქცეულნი ყოველ დღე ათასობით მიდიან.

ცეტინიე. სკუპშტინა გადასდეს სამ აგვისტომდე.

სტამბოლი. კალფე-კაიოში დერკოსის ტბასთან დიდი სისხლის ღვრა მოხდა ბერძენ მკვიდრთა და გადასახლებულ ოსმალთა შორის. რამდენიმე სახლი გადასწვეს. ორივე მხრით დახოცილ-დაჭრილებია.

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფს“ მექსიკიდან ატყობინებენ: ჰუერტას ჯარების რაზმმა, რომელმაც ყაზარმებში განკარგულება მიიღო, რომ მეამბოხეთა წინააღმდეგ გაელაშქრათ, დაჰხოცა აფიცრები, გავიდა ქალაქიდან და შეუერთდა მეამბოხეთ, რომელნიც 18 მილის მანძილზე იმყოფებიან. ჰუერტას მდგომარეობა საშინელია. ქალაქში ანარქიას ელიან.

ვაშინგტონი. დღეს მექსიკის დელეგატებმა პრეზიდენტ ვილსონთან ითათბირეს. თათბირს ამერიკის დელეგატებიც დაესწრნენ.

შუირეცი. მეამბოხეებმა მონპოლევა დაიპყრეს. ეს უკანასკნელი ადგილია მექსიკიდან ჩრდილოეთით, სადაც ფედერალური ჯარებს კიდევ უკავიათ თავის ხელში რკინის გზა.

პარიზი. ბრალმდებელმა ხელი მოაწერა საბრალმდებლო ოქმს, რომლითაც ქ-ნი კაიო სამართალშია მიცემული, წინასწარ განზრახულ მკვლელობისათვის.

პასტერის ინსტიტუტი მომავალი წლის მაისში დღესასწაულობს მეჩნიკოვის იუბილეს, მისი 50 წლის სამეცნიერო მოღვაწეობისას.

რომი. თამბაქოს მრეწველობის მუშებმა და აგრეთვე სხვა მრეწველობათა წარმომადგენლებმა ჩამოართვეს რწმუნებულება საგიტაციო კომიტეტს, რომელმაც გაფიცვა დასრულებულათ გამოაცხადა. ამოირჩიეს ახალი კომიტეტი და გააგრძელეს გაფიცვა.

ბირმინგამი. სუფრაჟისტ ქალებმა ცეცხლი წაუკიდეს დოღის ტრიბუნებს, რომელნიც სულ გადაიბუგა.

ტოკიო. აღმოაჩინეს მეხუთმეტე შემთხვევა შავი ჭირისა.

ლიმა. რესპუბლიკის დროებითი პრეზიდენტად აირჩიეს პოლკოვნიკი ბენავიდესი. დანარჩენი კანდიდატები არ დაეთანხმნენ არჩევანს, უარს ამბობენ დიპლომატიურ კორპუსს პროტესტი განუცხადეს. ბენავიდესსის მხარეს ჯარია.

ურმია. ენზელის რაიონიდან რუსის ჯარის გაყვანის შემდეგ ქურთების ყოფა-ქცევა ძლიერ გაცუდდა, 24 აპრილს კონსულის დამცველ რაზმს თოფები დაუშინეს. რუსეთის კონსულის მოთხოვნა, რომ ქვედა სოფლებისაკენ წყალი გაუშვან, არ სრულდება.

კალკუტა. ხუთი ბენგალელის სახლის გაჩხრეკის დროს წაიღეს წიგნები, საბუთები, იარაღი. ექვსი კაცი შეიპყრეს.

სტამბოლი. ოსმალთა წრეებში სიამოვნებით ბჭობენ „ტანინში“ მეფის განცხადების გამო. „ტანინი“ აღნიშნავს საბერძნეთში ოსმალეთთან შეკავშირების გავრცელებას და იმედოვნებს, რომ საკითხი კუნძულების შესახებ მშვიდობიანად დასრულდება.

რუსეთი.

კიევი. ოლქის სასამართლომ სადისციპლინო წესით გაარჩია საქმე ვექილი გრუზენბერგისა, რომელმაც ბეილისის საქმის განხილვის დროს პოლკოვნიკ ივანოვის გამოკითხვის დროს განაცხადა, რომ მოწმეები არიან სვინდისიერი და უსინდისონი. სასამართლომ დაადგინა წერილობით გაფრთხილება გამოუცხადოს გრუზენბერგს.

რიაზანი. ერთი კვირის განმავლობაში დახურულია სახაზინო არყის დუქანი, მთელ გუბერნიაში კი 62.

პეტერბურგი. დაიწყო პირველი სრულიად რუსეთის კრება ტყის მრეწველობისა და ვაჭრობის წარმომადგენელთა.

დაიწყო კრებები ურთიერთ კრედიტების დაწესებულებათა რწმუნებულებისა. სხვათა შორის კრებებმა უნდა განიხილოს პეტერბურგის ცენტრალურ ბანკის რეორგანიზაციის საკითხი.

კიევი. სამხრეთ-დასავლეთის ვეებერთელა რაიონში ნიაღვარმა დიდი უბედურება მიაყენა, ალაგ-ალაგ რკინის გზის ლიანდაგი და ტელეგრაფი გააფუჭა.

მინსკი. დუდინში სასოფლო ყრილობამ ერთხმად დაადგინა იშუამდგომლოს, რათა იმ პირთ, რომელნიც არაყს ფარულად ვაჭრობენ, მიესაჯოს ადმინისტრატიული გადასახლება.

შეიძლება თუ არა ბზის ორჯერ კურთხევა?

წელს ბზობას ცისკარზე მლოცველი ბრძანდებოდა ყოვლად უსამღვდელოესი ანტონი, ეპ. გორისა. ლოცვა სრულდებოდა უმეტეს ნაწილად სლავიანურად, სახარებაც ამ ენაზე წაიკითხა ყოვლად უსამღვდელომ, თუმცა ორი წილი მაინც მლოცველ ხალხისა, რომლითაც მთლად გაჭედილი იყო დიდებული ქართული ტაძარი სიონისა, ქართველები ვიყავით. როგორც ამ ბოლო დროს პრაქტიკიდამ სჩანდა, ქართველ სასულიერო პირთ მაინცა და მაინც არავინ უშლის სიონის ტაძარში ქართულად ხმამაღლებლების თქმას, მით უმეტეს ეპისკოპოსს და ამიტომ ჩვენ, ქართველი მლოცველები, გულდაწყვეტილი დავრჩით იმ დღეს. ლოცვის დროს სხვათა შორის ერთმა გარემოებამ მიიპყრო ჩემი ყურადღება. იმ დღეს ეპ. ანტონმა ინება ერთ და იმავე ბზის კურთხევა ორჯერ: პირველათ სლავიანურად და შემდეგ ქართულად. მე მგონია, სლავიანურად რომ წაკითხულ იქმნა ბზის ლოცვა, მაშინ კიდეც იკურთხა ბზა, ხოლო განმეორებით კურთხევა იმავე ბზისა, ჩემის ფიქრით, უკანონოა. ბზა უნდა კურთხეულიყო ერთხელ, ან ქართულათ, ან რუსულათ (რომელ ენაზე—ეს ღვდელ-მსახურის საქმეა). ნაკურთხის კურთხევა, უარყოფაა პირველ კურთხევისა. მოვიყვანოთ მაგალითი. ღამისთევის ლოცვაზე ხუთი პურის კურთხევა, მგონია, არსად არ მომხდარა ორ ან მეტ ენაზე, ერთ და იმავე ლოცვაზე. აგრეთვე არ შეიძლება, ჩემის ფიქრით ნათლის ღების დროს ორჯერ წარმოთქმა სიტყვებისა, რუსულად და ქართულად: „ნათელ იღებს მონა ღვთისა“... და სხვა.

ყველა ამისა გამო ვთხოვ მცოდნეთ, კერძოთ ქართველ სასულიერო პირთ, აგვიხსნან: კანონიერია ერთ და იმავე ბზის კურთხევა ორჯერ, სლავიანურად და ქართულად, როგორც ეს ეპ. ანტონმა შეასრულა ბზობას თუ არა?

ერთი მრევლთაგანი.

ქართული საწერი მანქანა

თანამედროვე კულტურის განვითარებაში დიდი ადგილი უჭირავს ორთქლის და ელექტრონის შემოღებას. თითქმის ასეთივე მნიშვნელობა აქვს მთელი კაცობრიობისათვის საწერი მანქანის გამოგონებას. დღეს ყველა კულტურულ ერს მოეპოვება თავის ენაზე საწერი მანქანა, მხოლოდ ჩვენ ქართველები შევადგენდით აქამდის გამონაკლისს.

1909 წელში ქართველთ შორის წერა კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ პირველად გადადგა ნაბიჯი ამ საქმის განსახორციელებლად და დაიკვეთა ათი ცალი ქართული საწერი მანქანა, მაგრამ ასოები ძლიერ ცუდათ დარჩა აჭრილი და ამას გარდა ძვირიც დაჯდა, სახელდობრ 275—300 მანეთი თითო. ამ ორმა გარემოებამ ძლიერ შეუშალა ხელი მანქანის გავრცელებას.

რომ ეს ნაკლი შევსებულიყო და ჩვენი ქვეყანაც საერთო კულტურის ფერხულში ჩარეოდა, ჩვენმა ფირმამ უკვე შარშან კავშირი დაიჭირა საწერი მანქანების საუკეთესო ქარხანასთან და დაუკვეთა ქართული საწერი მანქანა.

აქვე ჩვენი საზოგადოების ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებას: საწერი მანქანის ასოები იმავე ფორმის არ არიან, როგორც საბეჭდავი ასოები, ვინაიდან საბეჭდავი ასოები სხვა და სხვა ზომისანი არიან და საწერ მანქანაზე კი საჭიროა, რომ ყველა ასოები ერთი ზომისანი იყვნენ. ამის გამო მიუჩვეველი თვალისათვის პირველად შეიძლება არაჩვეულებრივი იყოს, მაგრამ თან და თან მიეჩვევიან.

ამავე მანქანაზე მოთავსებული არიან რუსული ასოები, ასე რომ რუსულადაც შეიძლება წერა. ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ დაწესებულებათათვის, სადაც რუსულ ენაზე მიწერ-მოწერა, ნებით თუ უნებლიეთ სავალდებულო არის.

რასაკვირველია, ყოველივე ახალი მანქანის გაუმჯობესება შეიძლება და თუ ჩვენი საზოგადოება ამ საქმეს თანაგრძნობით შეხვდა, მისი თან და თან გაუმჯობესება ადვილი საქმეა.

ორივე ენაზე ერთად მანქანას ჩავაბარებთ ჩვენში ყველა ადგილებში ას ოთხმოც მანეთად (180 მ.) თითო გამოწერილ მანქანას თან გამოვაყოლებთ ქართულ ენაზე დაწერილ სახმარ დარიგებას.

ამ მანქანის გასავრცელებლად ჩვენი ფირმის წარმომადგენლად არის ჟურნალ-გაზეთების სააგენტო „იმერეთი“-ს გამგე ბატონი ისიდორე კვიცარიძე, რომლის კანტორაშიაც ქუთაისში მსურველთ შეუძლიან ნახონ ჩვენი სანიმუშო მანქანა.

დაკვეთა შეიძლება პირდაპირ ჩვენგან შემდეგი მისამართით:

D. GHAMBASHIDZE & Cº.
61, Mark Lane,
London E. C.

ან ჩვენი ფირმის წარმომადგენელთან შემდეგი მისამართით: ჟურნალ-გაზეთების სააგენტო „იმერეთი“ ბატონ ისიდორე კვიცარიძე. ქუთაისი.

დაკვეთისთანავე მყიდველმა უნდა გადაიხადოს ორმოცი მანეთი (40 მ.), რომელიც უნდა გადაიგზავნოს ბათომის საურთიერთო ნდობის ბანკში ქ. ბათომში, დანარჩენი ას ორმოცი მანეთი (140 მ.) კი გადახდებათ ჩაბარებისას.

ამასთანავე გიგზავნით ქართულ-რუსული ნაწერის ნიმუშს და იმედი გვაქვს ჯეროვანის თანაგრძნობით შეხვდებით ჩვენს წინადადებას.

პატივისცემით დ. ღამბაშიძე და ამხ.

რედაქტორი ნ. ყურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

მატარებლების მიმოსვლა

18 აპრილიდან.

ტფილისიდან გადის:

(დრო ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ბაქოსაკენ: ნარევი № 22,—4 ს. 58 წ. შუადღ.; სამგზავ. № 12,—4 ს. 5 წ. დღის.; სამგზავ. № 8,—6 ს. 25 წ. საღამ.; ჩქარი № 6,—12 ს. 8 წ. შუაღღ.; საფოსტო № 4, 10 ს.—20 წ. საღ.

ბათუმისაკენ: ნარევ. № 21—2 ს. 59 შუადღ.; სამგზავრო № 9,—8 ს. 53 წ. საღამ.; სამგზავ. № 7,—2 ს. 18 წ. დღ.; ჩქარი № 5,—8 ს. 16 წ. საღ.; საფ. № 3,—9 ს 54 წ. დილით.

ბორჯომისაკენ: სამგზავ. № 17/18,—7 ს. 28 წ. დილ.; სამგზავ. № 19/20,—3 ს. 20 წ. დღით.

მცხეთისაკენ: სააგარაკო № 61,—8 ს. 23 წ. დილ.; სააგარაკო № 63,—2 ს. 38 წ. დღის.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან: ნარ. № 22,—3 ს. 55 წ. ღამ. სამგზავ. № 10,—9 ს. 51 წ. დილ.; სამგზავრო № 8,—5 ს. 53 წ. საღ.; ჩქარი № 6,—11 ს 8 წ. დღ.; საფ. № 4,—9 ს. 30 წ. საღ.

ბაქოდან: ნარევი № 21,—2 საათ. 17 წ შუადღ.; სამგზ.-საზარგ. № 9,—10 ს. 5 წ. დილ.; სამგზავ. № 7,— 1 ს. 42 წ. დღით, ჩქარი № 6,—7 ს. 41 წ. საღამ.; საფ. № 3,— 8 ს 58 წ. დილ.

ბორჯომიდან: სამგზავ. № 17/18,—10 ს., 28 წ. საღ.; სამგზავ. N 19/20,—7 ს. 2[illegible] დილ.

მცხეთიდან: საგ. № 62,—12 ს. 18 წ. დღ.; საგ. № 63,— 8 ს. 48 წ. საღ.

სასანიტარო ექიმები.

უბნები: 1—2 მ. ფომინა-თხაპიშვილისა (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში ქრ. ლ. ქვ. ლანთარიძე (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6ა. მ. ზაბლუდოვსკი (გრიბოედოვის, 10. ტელ. 645).

7—8 ნ. დ. ხატისოვი (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 გ. თ. ნათიშვილი (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 ვ. ა. მარაქოვი (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 56, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.

ავლაბრისა—კახეთის ქ. 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე ნაშუადღ. 2—3 საათ., საღ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილის 8—9 ს., კვირ. ავადმ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. უ ფ ა ს ო დ
კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავადმ.
ბ. გ. ბაგაბაროვი: 1—2 ს. შინაგანი ავადმყ.
ზ. ი. ბ. ხანახოვი: 10—11 ს. ბავშვთა, ქალებისა და ბავშვებისა.
მ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. ბეგლარბეგოვი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. კარამურზაიანცი: 12—1 ს. შინაგანი, ბავშვთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ს. გ. ტერ-გრიგორიანცისა 1—2 ს. ბავშვთა და ქალების ავადმყ.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ბეგლარბეგოვი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
1071

ტფილისის საპოლიტექნიკუმო კურსები
ინჟინერის მ. ნ. ვინოგრადოვისა
—◆◆ განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი ◆◆—
განყოფილებანი: სამიწისმზომელო, სამშენებლო და სასოფლო-მეურნეობისა.
პირველ სემესტრზე გამოუცდელად მიიღებიან სამოქალაქო სასწავლებელში კურს დამთავრებულნი 1872 წ. დებულების მიხედვით, ანუ ამ სასწავლებლის სადარი კურსიანი სკოლისა. სამიწისმზომელო კურს დასრულებულთ გამიჯვ. სამმართველო, საჭიროებისამებრ, ჰნიშნავს მიწის მომწყობ კომისიის მიწისმზომლის თანაშემწის კანდიდატად (გამიჯვ. სამმართ. ცნობა 1914 წ. 22 თებერვ. № 1072). სამიწისმზომლო განყოფილების კურსი ორწლიანია, სამშენებლო და სოფლის მეურნეობისა ორწლინახევრიანი.
პროსპექტები იგზავნება 30 კ. მარკის გამოგზავნისათანავე, ტფილისი, პუშკინის ქ. სახ. № 8. ტელეფ. 10—30. 1197

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 16 მაისს,

იჯარით გაიცემა

გოლოვინის პროს. და მამადავითის ქუჩის კუთხეში

სახლის აშენების სამუშაო.

ვისაც შეცილებაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, შესაფერი განცხადება უნდა წარმოადგინოს დაბეჭდილის კონვერტით ზედწარწერით: „16“ მაისის შეცილებისათვის გოლოვინის პროსპ. და მამადავითის ქუჩის კუთხეში ასაგებ სახლისა“. კონვერტზე უნდა იყოს დაწერილი მისამართი საამშენებლო განყოფილების გამგე ქალაქის გამგეობის წევრისა. კონვერტები უნდა იყოს წარმოდგენილი არა უგვიანეს 16 მაისისა, შუადღის 12 საათისა, რა დღესაც მოხდება

საჯარო ვაჭრობა.

ტექნიკური პირობები, გეგმები და სხვა ცნობები შეიძლება მიიღონ გამგეობის კანცელარიის სამშენებლო განყოფილებაში შუადღის 12—3 საათამდე. ამასთანავე განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ კვიტანცია, რომ ქალაქის კასაში განცხადებულ თანხის 10 პროცენტი შეტანილი აქვთ. ვინც სათანადო ბეს არ წარადგენს, მათი განცხადებანი განხილული არ იქნება. 1196

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9
ტელეფონი № 712.

მანუფ. ლემბა
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ქვეშ,
საკუთარ სახლში.
იყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.
1081

ტფილისი, სტამბა „შრომა“, მუხრანის ქუჩ. ტელეფონი № 14—42.